

ISSN 1987-6890

ა ვ რ ი ხ დ ი ა ვ ლ ე ბ ი

EKONOMISTI

საქართველოს სამუშაოთა - მარკოტინგის ექსპერტი

International Scientific - Analytical Journal

2

2 0 1 0

UDC33

გ-49

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

მარტი
აპრილი

2
2010

მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

საქართველოს მთავრობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორმისარენტები:
გლეხიშვილ აკაკი, აგორაძილ სილაბაძე, ლეო ჩიქავა

ეკონომიკის მთავრობის დოკტორები:

იური ანანიაშვილი, როზეთა ასათიანი, კლიმენტი აჩელაშვილი, თემურ გერიძე,
გიორგი გერეზავა, გვასტავ გურგული, მიხეილ თომაშვილი, თემურ კანდელაძე,
მჭრავ კვარაცხელია, ალექსე ბურატაშვილი, იაკობ მესხია, ელგუჯა
მემჭაბიშვილი, გიორგი კაკაბა, უშაგი სამარაშვილი, როლანდ სარჩიმელია,
აგორაძილ სულაბერიძე, თემურ შეგებია, თინა ჩხეიძე, ნონა ჭითანავა, იოერ
ხარაიშვილი, მიხეილ ჯგუფი.

აკადემიური დოკტორები:

ნაცული არებაძე, ნანა გიგილაშვილი, მერაბ გელაშვილი, ლინა დათვეაშვილი, ლია
ოროლაძე (აკადემიური მდივანი), მთერ კაპულია, ნაზირა კაპულია, თემ
ლანარაშვილი (მთაგარი რედაქტორის მოაღილე), იზა ნათელაშვილი, ნოდარ
ხადური, გამზაპა ხშირიძე (მთაგარი რედაქტორის მოაღილე), რევაზ ჯაგა-
ხიშვილი, მლენი ხარაბაძე.

უცხოელი წევრები:

ანა ახვლედიანი (ფიზიკის დოკორი, ასუსტისტებელი მუზეუმი უცხოეთში), ელიან
ისეაბერგი (ყაზახეთის მდივანი), დავით ძარტანიშვილი (აშშ, მთაგარი რედაქტორის
მოაღილე), ანთანას მამატილუსი (ლიტერატურის მუზეუმი), ვლადიმერ მელიქოვანი (ლატვია),
მიხეილ როგერლიშვილი (აშშ), სლავომირ აკტორი (აღმონათი), ლიმიტრი
სოროგინი (რუსეთი), ანდრეი ჭარბაძე (აღმონათი).

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის
შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს
ინფორმაციის სიზუსტეზე.

თბილისი

Paata Gugushvili Institute of Economics

EKONOMIST

I

**International Scientific-analytical Journal
Published from January 2009**

March
April
2
2010

Editor-in-chief Ramaz Abesadze

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Klimenti Achelashvili, Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Mikhail Jibuti, Temur Kandelaki, Eter Kharaishvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Giorgi Papava, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze, Mikhail Tokmazishvili.

ACADEMIC DOCTORS:

Nanuli Arevaladze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Lia Totladze (executive secretary).

FOREIGN MEMBERS:

Anna Akhvlediani (Great Britain, executive secretary abroad), Eldar Ismailov (Azerbaijan), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Antanas Mackstitus (Lithuania), Vladimir Menshikov (Latvia), Slavomir Patritski (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia), Andrei Herman (Poland)

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

Tbilisi

ს ა რ ჩ ე ვ ი

მსოფლიო უინასური პრიზისი

გლობალურ პაკაგა, თამარ თაფლაძე – თანამედროვე ეკონომიკური
კრიზისის თავისებურებანი რესეტში 5

მაღაზიაზ ციხარიშვილი – XX საუკუნის 90-იან წლებში დაზარალებულ
მენაბრეთა კომპენსაციის შესაძლებლობები მსოფლიო ეკონომიკური
კრიზისის დაძლევის დონისძიებათა ფონზე 10

საქართველოს ეპონომიკა

ციური ანთაძე – სოციალური რისკები თანამედროვე საქართველოში 15

ნუგზარ ცომაია – საქართველოს სავაჭრო ბალანსის თავისებურებები 35

ეპონომიკური რისკები

ნინო ლაზარიშვილი – რისკენეჯმენტის პროცესის ფორმალიზაცია
ფირმაში 38

ბიზნესი

ნუგზარ ცომაია – მცირე ბიზნესი საქართველოში: პრობლემები,
პერსპექტივები 46

გიგა მაისურაძე – წყლის ბიზნესი საქართველოში 50

პოსტსაბჭოთა შვეიცარიის ეპონომიკა

A. B. Matevosyan – О проблемах развития малого и среднего предпринимательства
в Армении 54

A.V. Matevosyan – The Stabilized Approach of the Financial Situation Based on the
Evaluation of Investments 60

საბაზო პონდერინგი

N. U. Hajiyen, Ziyad. N. Galilov – Theoretical and Practical Problems of Competition
Law and Policy in the modern Condition 67

მნიშვნელოვანი მონოგრაფია 72

ინფორმაცია 74

C O N T E N T S

GLOBAL FINANSIAL CRISIS

<i>Vladimer Papava, Tamar Tapladze</i> – Features of the modern economic crisis in russia	5
<i>Malkhaz Tsiskarishvili</i> – The Possibilities of Compensation of Depositors Suffered in 90-us of XX-th Centuryin Georgia on the Background of Overcoming World Economic Crisis	10

ECONOMY OF GEORGIA

<i>Tsiuri Antadze</i> – Social Risks in Contemporary Georgia	15
<i>Nugzar Tsomaia</i> – Prerequisites of Georgian Trade balance	35

ECONIMIC RISKS

<i>Nino Lazviashvili</i> – Formalization of Rissk-menagement Process in a Firm	38
--	-----------

BUSINESS

<i>Nugzar Tsomaia</i> – The Problems and Perspectives of the Small Business in Georgia	46
<i>Giga Maisuradze</i> – Water Business in Georgia	50

ECONOMY OF POSTSOVIET COUNTRIES

<i>A.V. Matevosyan</i> – Small and Medium Enerprises Development Issuses in Armenia	54
<i>A.V. Matevosyan</i> – The Stabilized Approach of the Financial Situation Based on the Evaluation of Investments	60

MARKET COMPETITION

<i>N. U. Hajiyen, Ziyad. N. Galilov</i> – Theoretical and Practical Problems of Competition Law and Policy in the modern Condition	67
--	-----------

SIGNIFICANT MONOGRAPH	72
------------------------------	-----------

INFORMATION	74
--------------------	-----------

მსოფლიო ჟინანშრი პრიზისი

**გლობალურ პაპაგა
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრ-კორექსპონდენტი, ეროვნომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი**

**თამარ თაფლაძე
პაატა გუგუშვილის სახელობის
ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი**

თანამედროვე ეკონომიკური პრიზისის თავისებულებაზე რესეტში

1998 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ ათი წლის განმავლობაში რუსეთის ეკონომიკა შთამბეჭდავი ტემპებით ვითარდებოდა, როცა ამ პერიოდში რეალური GDP-ი თითქმის გაორმაგდა [1, გვ. 54]. რუსეთის ეკონომიკა სულ უფრო მომხიბივლელი იყო უცხოური კაპიტალისათვის, ხოლო ნავთობზე მსოფლიო ფასების მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში რუსეთის საერთაშორისო რეზერვებმა თითქმის 600 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია და ამ მაჩვენებლით ის მსოფლიოში მხოლოდ ჩინეთსა და იაპონიას ჩამორჩებოდა [1, გვ. 54].

რუსეთის ეკონომიკაზე გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენა ჯერ კიდევ 2008 წლის ზაფხულში გახდა შესამჩნევი. ეს იმით აიხსნება, რომ რუსეთის საფონდო ბაზარზე ბრუნვაში მყოფი აქტივების თითქმის ნახევარი არარეზიდენტებზე (რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ამერიკელ არარეზიდენტებს ეკავა) მოდიოდა, რომლებმაც, გლობალური ფინანსური კრიზისის გამო, უკვე 2008 წლის ზაფხულში დაიწყეს თავისი კაპიტალის გატანა რუსეთიდან, რამაც რუსული ფასიანი ქაღალდების დირექტულება მკვეთრად დააგდო [2, გვ. 32-33]. ამას დაემატა საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ვარდნა ნავთობზე, გაზასა და ლითონებზე, რაც აისახა რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპების შემცირებასა და უმუშევრობის ზრდაზე [2, გვ. 33].

თუ 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტი რუსეთში 5,6 პროცენტით გაიზარდა [3], 2008 წლის მეოთხე კვარტალში, 2007 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა უმნიშვნელო იყო და მხოლოდ 1,2 პროცენტი შეადგინა [4]. 2009 წელს კი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა: პირველ კვარტალში, 2008 წლის კვარტალთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტი უკვე 9,8 პროცენტით შემცირდა და ეს ვითარება 2009 წლის არც მეორე და მესამე კვარტლებში არ შეცვლილა: მეორე კვარტალში კლებამ 10,9 პროცენტი, ხოლო მესამე კვარტალში 9,9 პროცენტი შეადგინა [4]. საყურადღებოა, რომ ინფლაცია 2008 წელს რუსეთში 13,3 პროცენტის, ხოლო 2009 წლის ექვმდებარებაში 7,4 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა [5].

კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა შექმნილი რუსეთის მრეწველობაში. კერძოდ, თუ 2008 წელს სამრეწველო წარმოების ინდექსმა 102,1 პროცენტი შეადგინა, 2009 წლის პირველ ნახევარში 85,2 პროცენტამდე შემცირდა [6].

იმის გათვალისწინებით, რომ ნეკროეპონომიკური [7-9] საწარმოების უდიდესი ნაწილი მრეწველობაშია თავმოყრილი, არ უნდა გაგვიაგირდეს, რომ კონომიკური კრიზისის პირობებში წარმოების მოცულობის კლება სწორედაც მრეწველობაშია ყველაზე უფრო თვალსაჩინო. აქვე თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნეკროეპონომიკისათვის დამახასიათებელია ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სწორედ სამრეწველო წარმოებამ განიცადა მნიშვნელოვანი კლება [10-11].

არაკრიზისულ ვითარებაში მსხვილმასშტაბიანი ბაზრის მქონე ქვეყნებში ნეკროეპონომიკის არსებობა ნაკლებად შეიგრძნობა, რადგან ქვეყნის შიგნით არსებული კონკურენცია იმის ილუზიას ქმნის, თითქოს ამ ქვეყნის ეკონომიკა არ არის ნეკროეპონომიკით დამძიმებული. ამის საუკეთესო მაგალითი კი სწორედ რუსეთია [12, გვ. 12-34].

საყურადღებოა, რომ რუსეთში განვითარებული ეკონომიკური კრიზისის განმსაზღვრელი არა მარტო და არა იმდენად საგარეო ფაქტორებია, არამედ ის დაგროვებული გადაუწყვეტელი პრობლემებია, რომლებიც დამახასიათებელია რუსეთის მრეწველობის და მთლიანად მთელი ეკონომიკისათვის [13]. სამართლიანად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, რუსეთში კრიზისი ეროვნულ ნიადაგზე განვითარდა, რომ გლობალური ფინანსური კრიზისი მხოლოდ დაემატა რუსეთში ჩამოყალიბებულ ფინანსურ, ტექნიკურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს [14, გვ. 81-82]. თანაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთის ეკონომიკის ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობას [14, გვ. 82], რის გამოც რუსეთის მრეწველობის საექსპორტო სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი ენერგორესურსების (და სხვა დაბალტექნოლოგიური საქონლის) ექსპორტი უჭირავს [15, გვ. 586-603]. თანაც რუსეთის მთავრობის მიერ ბოლო წლებში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკაც სწორედ რომ ამ ტიპის ექსპორტის სტიმულირებას ეფუძნებოდა [14, გვ. 78-79].

სამართლიანობა მოითხოვს ადინიშნოს, რომ რუსეთის მთავრობას ჯერ კიდევ კრიზისამდე ჟქონდა შემუშავებული საეციალური პროგრამა მაღალი ტექნოლოგიების განვითარებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის განხორციელების შესახებ [15, გვ. 586-587], თუმცა არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ამ პროგრამის განხორციელება შეაფერსა [1, გვ. 56].

აშეარაა, რუსულ კომპანიებს სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე საკუთარი ძალებით არ ძალუდო დაგროვილი ვალების გადახდა [16, გვ. 5].

სწორედ ამან განაპირობა ის, რომ რუსეთის მთავრობამ შეიმუშავა მსხვილმასშტაბიანი ანტიკრიზისული პროგრამა, რომელიც ეფუძნება ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერას მნიშვნელოვანი ფინანსური სტიმულების გამოყენების გზით [17, გვ. 15]. კერძოდ, ამ ღონისძიებათა საერთო ღირებულებამ კრიზისის დაწყების პირველ თვეებში რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის 13 პროცენტი შეადგინა [1, გვ. 57].

საყურადღებოა ის გარემოება, რომ, სწორედ ავტორიტარული რეჟიმის გამო, რუსეთის მთავრობამ შეძლო ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ კრიზისზე სწრაფი რეაგირება, რაც გამოიხატა მის მზადყოფნაში, უფლი სწრაფად გადაესროლა შექმნილი პრობლემების გადასაჭრელად, ვიდრე დასავლური დემოკრატიის პროცესს ოდესშე შეუძლია ეს წარმოიდგინოს [18, გვ. 23]. თანაც, კრიზისის მიუხედავად, რუსეთის მთავრობა არ ერიდება დამატებითი ხარჯების გაწვევას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ამა თუ იმ პოლიტიკური მიზნების მისაღწევადაც [18, გვ. 23-24].

რუსეთის ანტიკრიზისული პოლიტიკა სამი მიმართულებით ტარდება: ფინანსური სექტორის ლიკვიდურობის აძაღლება, მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერა და წამყვანი კომპანიების მხარდაჭერა [2, გვ. 25].

გადასახადების განაკვეთის შემცირებასთან ერთად (მაგალითად, მოგების გადასახადი 24 პროცენტიდან შემცირდა 20 პროცენტამდე, ხოლო რეგიონებს მიეცათ უფლება, მცირე ბიზნესზე გადასახადი 15 პროცენტიდან შეამცირონ 5 პროცენტამდე), რუსეთის მთავრობამ დაიწყო საპენსიო ფონდის, საბანკო კრედიტებზე გარანტიებისა და მსხვილი კომპანიების პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერა [2, გვ. 34-35].

კრიზისის გამო საქმაოდ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა რუსეთის საბანკო სისტემა და, რომ არა რუსეთის ცენტრალური ბანკისა და მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბანკო სისტემის გადარჩენისათვის გაცემული ფინანსური დახმარება (ნაციონალიზაცია, საგარეო ვალების დაფარვა, საბანკო კრედიტების სამთავრობო გარანტიებით უზრუნველყოფა), სიტუაცია ბევრად უფრო მძიმე იქნებოდა [19, გვ. 13]. ნიშანდობლივია, რომ ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრების გადანაწილება ქროამის საშუალებით ხორციელდება, რის საფუძველსაც ამ დეფიციტურ სახსრებზე სახელმწიფოს მიერ დაწესებული დაბალი ფასი წარმოადგენს [16, გვ. 16].

საყურადღებოა, რომ რუსეთის მთავრობამ შეიმუშავა ე.წ. “სისტემაშემქმნელი” საწარმოების ნუსხა, რომელშიც შევიდა 300-მდე მსხვილი კომპანია, რომელთაც დახმარება გაეწევა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე სახელმწიფო ბანკების მხრიდანაც [2, გვ. 34]. მსგავსი ნუსხა შედგა რუსეთის ოგონების მიერაც, რეგიონულ დონეზე შესაბამისი საწარმოების მხარდაჭერის მიზნით [2, გვ. 24].

რეალური სექტორის მხარდასაჭერად რუსეთის მთავრობამ ეკონომიკის ზომიერების პროცესისათვის [20] დამახასიათებელი ღონისძიებების გატარება დაიწყო. ეკრძილ, სახელმწიფო ბანკები ახორციელებენ საწარმოთა პირდაპირ შედავათიან დაკრედიტებას, საბანკო კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიები გაიცემა, ხოლო ამ კრედიტების საპროცენტო განაკვეთის სუბსიდიორება კი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხდება [21, გვ. 24]. საყურადღებოა, რომ სამთავრობო დახმარების ბენეფიციართა შორის არის ეროვნული ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სეგმენტი, მათ შორის ნეკროეკონომიკის საწარმოებიც, რომლებიც თავმოყრილია, მაგალითად, მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობასა და ავტომობილების წარმოებაში და სხვ. [21, გვ. 44-46].

რაც შეეხება რუსეთში გაძოტერების შესახებ კანონის მოქმედებას, ის ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ასე მაგალითად, 2007 წლიდან ეს კანონი არ ვრცელდება სახელმწიფო კორპორაციებზე, ხოლო ესა თუ ის საწარმო სტრატეგიულად თუ ითვლება, მაშინ მასზე ამ კანონის მოქმედება შეზღუდულია იმ მიმართულებით, რომ ეს საწარმო აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს [22, გვ. 109-110]. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო კორპორაციების ხელმძღვანელობაში, როგორც წესი, უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომლები არიან თავმოყრილი, რომელთაც არანაირი სამეწარმეო უნართვისებები არ გააჩნიათ და მცდარი მენეჯმენტის განხორციელებით ხდს უწყობენ ამ კორპორაციების გადახდისუუნარობას [18, გვ. 27]. იმავდროულად, გაკოტრების კანონის მოქმედება დიდადა დამოკიდებული კრემლის პოლიტიკურ მიზნებზე, რაც ყველაზე ნათლად “იუკოსის” გაკოტრების საყოველთაოდ ცნობილ ფაქტში გამოიკვეთა [23].

ადსანიშნავია, რომ 2008 წლის ბოლოდან მოყოლებული, ეკონომიკური კრიზისის პირობებში კიდევ უფრო იზრდება სახელმწიფოს ზეგავლენა გაკოტრების სფეროში მისაღებ გადაწყვეტილებებზე [22, გვ. 117].

აშენადა, რომ რუსეთის მთავრობის მიერ განხორციელებული ანტიკრიზისული ღონისძიებები ხელს უწყობს მოგველებული ტექნოლოგიების მქონე

საწარმოების შენარჩუნებას, რაც პოსტგრიზმის ჰერიოდში რესევოს ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს [21, გვ. 41].

რესევოს მთავრობის ანგიკრიზისული პროგრამა მიმართულია რესევოს ეკონომიკის თითქმის ყოვლისმომცველ ზომბირებაზე. რესევოს ეკონომიკაში ნეკროეკონომიკის არსებობის ფართო მასშტაბების გამო კი, ზომბირების პროცესი ვრცელდება ნეკროეკონომიკის საწარმოებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. “Экономический обзор ОЭСР по Российской Федерации, 2009”. *Вопросы экономики*, № 8, 2009.
2. Булатов Александр. “Сходство и различия экономического кризиса в США и России”. *Вестник института Кеннана в России*, Выпуск 15, 2009.
3. “Real GDP Used”. *Federal State Statistics Service*, 2009, http://www.gks.ru/bgd/free/b00_25/IssWWW.exe/Stg/dvvp/i000230r.htm.
4. “Real GDP Used (by Quarters)”. *Federal State Statistics Service*, 2009, http://www.gks.ru/bgd/free/b00_25/IssWWW.exe/Stg/dvvp/i000390r.htm.
5. “Consumer Price Indices”. *Federal State Statistics Service*, 2009, http://www.gks.ru/bgd/regl/b09_06/IssWWW.exe/Stg/3/15-01.htm.
6. “Production Index.” *Federal State Statistics Service*, 2009, http://www.gks.ru/bgd/regl/b09_06/IssWWW.exe/Stg/3/06-01.htm.
7. Papava Vladimer. “Necroeconomy – A Phenomenon of the Post-Communist Transition Period”. *Problems of Economic Transition*, Vol. 44, No. 8, 2001.
8. Papava Vladimer. “Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy”. *International Journal of Social Economics*, Vol. 29, No. 9/10, 2002.
9. Papava Vladimer. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York: iUniverse, 2005.
10. Илларионов Андрей. “Это – катастрофа. Безпрецедентный промышленный спад ноября”. *Институт экономического анализа*, 2008, http://www.iea.ru/econom_rrost.php?id=26.
11. Илларионов Андрей. “Ноябрьский спад промышленного производства – катастрофа, которая усугубляется действиями властей”. *Институт экономического анализа*, 2008, <http://www.iea.ru/macroeconom.php?id=14>.
12. Schaffer Mark, and Boris Kuznetsov. “Productivity.” In *Can Russia Compete?*, edited by Raj M. Desai and Itzhak Goldberg. Washington, D.C.: Brookings Institution Press, 2008.
13. Илларионов Андрей. “Природа российского кризиса. Чем он не является”. *Институт экономического анализа*, 29 декабря 2008, <http://www.iea.ru/macroeconom.php?id=16>.
14. Драпасов С. “Российский кризис: истоки и уроки.” *Вопросы экономики*, № 5, 2009.
15. Connolly Richard. “The Structure of Russian Industrial Exports in Comparative Perspective”. *Eurasian Geography and Economics*, Vol. 49, No. 5, 2008.
16. May B. “Драма 2008 года: от экономического чуда к экономическому кризису.” *Вопросы экономики*, № 2, 2009.
17. Gavras Panayiotis. *The Current State of Economic Development in the Black Sea Region*. Commission on the Black Sea, Policy Report 1. Gütersloh: Bertelsmann Stiftung, 2010, http://www.bertelsmann-stiftung.de/cps/rde/xbcr/SID-0DEA6A1D-51BA7B29/bst_engl/xcms_bst_dms_30694_30695_2.pdf.

18. Markesinis Sir Basil. *The American and Russian Economies in Moments of Crisis: A Geopolitical Study in Parallel*. ICBSS Policy Brief No. 19, November 2009, http://icbss.org/images/papers/pb_19_markesinis.pdf.
19. Aris Ben “How Many Bankrupt Banks does it Take to Make a Crisis?”. *bne – businessneweurope*, August, 2009.
20. პატავა ვლადიმერ. “ვინახსეური კრიზისი და ეკონომიკის ზომბირების საფრთხე”. წიგნში: პატავა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟრომების კრებული II. თბილისი, პატავა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამოცემლობა, 2009.
21. ГУ-ВШЭ и МАЦ. “Оценка антикризисных мер по поддержке реального сектора российской экономики.” *Вопросы экономики*, № 5, 2009.
22. Апевалова Елена и Александр Равыгин. “Банкротства в двухтысячные годы: от инструмента рейдеров к политике «двойного стандарта»”. *Экономическая политика*, № 4, 2009, http://www.iet.ru/files/text/policy/2009_4/apevalova-radygin.pdf.
23. Torbakov, Igor. “Yukos Bankruptcy: The Big Picture”. *The Jamestown Foundation*, 3 August, 2006, http://www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews%5Btt_news%5D=31949.

Vladimer Papava

Doctor of Economic Sciences, Professor,

*Corresponding Member of the National Academy of Sciences of Georgia,
Principal Research Fellow at the Paata Gugushvili Institute of Economics,*

Tamar Tapladze

Researcher at the Paata Gugushvili Institute of Economics

FEATURES OF THE MODERN ECONOMIC CRISIS IN RUSSIA

Summary

The impact of the global financial crisis on Russia's economy was already observable in the summer of 2008. With most of the necroeconomic enterprises being concentrated in the industry sector, it should not surprise us that the decrease herein is the most significant as a result of the economic crisis. The economic crisis which developed in Russia is not so much due to foreign factors but, rather, to the unsolved problems which have accumulated and which are characteristic for Russia's industry and for the economy as a whole. The technological backwardness of Russia is a key factor due to which the share of energy resources in Russia's export structure of industry is significant. In order to provide real support, the Government of Russia started to carry out measures characteristic for the process of zombie-ing the economy. As for the application of the Law on Bankruptcy in Russia, it is beneath criticism. It is apparent that the anti-crisis measures carried out by the Government of Russia facilitate the retaining the enterprises with obsolete technologies which can only negatively affect the economic development of Russia in the post-crisis period. The anti-crisis programme of the Government is directed towards a comprehensive zombie-ing of the Russia's economy. Due to the large-scale of the necroeconomy in Russia, the zombie-ing process extends to the necroeconomic enterprises.